

კურიკულუმი

ფაკულტეტის დასახელება	მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
პროგრამის დასახელება	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია	ხელოვნების ბაკალავრი Bachelor of Arts
პროგრამის ხანგრძლივობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)	8 სემესტრი, 240 კრედიტი (1 კრედიტი - 25 საათი): <ul style="list-style-type: none"> • ძირითადი (Major) სპეციალობა - 120 კრედიტი • ზოგადი მოდული - 60 კრედიტი • დამატებითი სპეციალობა (Minor) ან თავისუფალი კომპონენტები - 60 კრედიტი
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის შემუშავების თარიღი და განახლების საკითხი	პროგრამა შემუშავებულია 2011 წ. პროგრამა განახლებადია ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები)	
საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს სრული საშუალო განათლების მქონე პირი. კონკურსანტმა უნდა გაიაროს ერთიანი ეროვნული გამოცდები შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში საკონკურსო საგამოცდო პროგრამის მოცულობით.	
პროგრამის მიზნები	
<p>პროგრამის მიზანია, მოამზადოს სპეციალისტი, რომელსაც ექნება ფართო ცოდნა ვიზუალური ხელოვნების ზოგადი მახასიათებლების, დარგებისა და ჟანრების სპეციფიკის შესახებ, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ისტორიის ძირითადი ცნებების შესახებ და შეძლებს ორიგინალური იდეებისა და კონცეფციების განხორციელებას კონკრეტული პროდუქტის/საავტორო ნამუშევრის სახით მის მიერ შერჩეული მოდულისათვის დამახასიათებელი კომპოზიციური და ტექნოლოგიური კანონების, პრინციპებისა და მიდგომების დაცვით.</p> <p>პროგრამის ფარგლებში სტუდენტი შეისწავლის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების რამდენიმე ურთიერთთავსებად დარგს, რაც ხელს შეუწყობს მის ჩამოყალიბებას მრავალფეროვლიან სპეციალისტად. ამასთან, პროგრამა ემსახურება გამოყენებითი და სახვითი ხელოვნების დარგში კომპოზიციებისადმი ანალიტიკური მიდგომების ჩამოყალიბებას, სტუდენტის შემოქმედებითი/პრაქტიკული უნარებისა და მისი ესთეტიკური გემოვნების განვითარებას. პროგრამა ორიენტირებულია ისეთი ტრანსფერული უნარების განვითარებაზე, როგორებიცაა ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია ქართულსა და ინგლისურ ენებზე, რაოდენობრივი მსჯელობა, კრიტიკული ანალიზი და გუნდში ეფექტურად მუშაობის უნარი.</p> <p>პროგრამა ინტერდისციპლინურია: მასში გამოიყოფა ექვსი მოდული. თითოეული მათგანის ფარგლებში სტუდენტი შეისწავლის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების რამდენიმე ურთიერთთავსებად დარგს. დარგების შემოთავაზებული კომბინაციები ნაკარნახევია პრაქტიკოსი მხატვრების მრავალწლიანი გამოცდილებითა და იმ საჭიროებებით, რომლებიც არსებობს დასაქმების ბაზარზე. ამასთან, დარგების ამგვარი კომბინაციის შედეგად მომავალი ხელოვანები შეძლებენ მასალათა შემოქმედებით სინთეზსა და უფრო მაღალი ხარისხის, დახვეწილი ესთეტიკის მქონე და ტექნოლოგიურად ორიგინალური ნამუშევრების შექმნას.</p>	
სწავლის შედეგები და კომპეტენციები	
<p>1. ცოდნა და გაცნობიერება</p> <p>პროგრამის დასრულების შემდეგ:</p> <ul style="list-style-type: none"> • კურსდამთავრებულმა იცის აკადემიური ხატვის ძირითადი კანონები (კონსტრუქციული და პლასტიკური), ხატვის თეორიული და პრაქტიკული ელემენტები, ფორმის აგების ლოგიკისა და სივრცის ორგანიზების ძირითადი პრინციპები. • კურსდამთავრებულმა იცის კოლორისტული ფერწერის უმნიშვნელოვანესი კანონები (ფერი, ტონი, კოლორიტი, განათება), ფერწერული მასალების (აკვარელი, გუაში, ტემპერა, ზეთი) ტექნოლოგიურ თავისებურებები. • კურსდამთავრებულს აქვს ცოდნა ცხოველთა, ფრინველთა და ადამიანთა მოძრაობასა და პლასტიკაზე მათი ხერხემლის, ძვლოვანი და კუნთოვანი სისტემების გავლენის შესახებ. • კურსდამთავრებულს აქვს ცოდნა სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ისტორიის ძირითადი ცნებების და თეორიების შესახებ; • კურსდამთავრებულმა იცის ვიზუალური ხელოვნების ზოგადი მახასიათებლები, დარგები და ჟანრების სპეციფიკა. <p>დაზგური ფერწერისა და ენკაუსტიკის მოდულის არჩევის შემთხვევაში:</p> <ul style="list-style-type: none"> • კურსდამთავრებულს აქვს ფართო ცოდნა დაზგური ფერწერისა და ნახატის კომპოზიციის და ენკაუსტიკის 	

ხელოვნების ზოგადი მახასიათებლების შესახებ;

- კურსდამთავრებულს აქვს კომპლექსური ცოდნა ნებისმიერი ჟანრის (ნატურმორტი, ინტერიერი, პეიზაჟი, პორტრეტი და სხვა) დაზღვრი ფერწერის ნამუშევრის კომპოზიციური კანონებისა და ფერწერული მასალების ტექნოლოგიური თავისებურებების შესახებ.
- კურსდამთავრებულს აქვს კომპლექსური ცოდნა ნახატის საავტორო კომპოზიციის გამომსახველობითი ელემენტების, ყველა სახატავი მასალისა (ფანქარი, ნახშირი, სოუსი, ტუში, სანგინა, პასტელი და სხვა) მახასიათებლების და სახვითი ხელოვნების ნებისმიერი ჟანრის ნამუშევრის შესრულების კომპოზიციური კანონების შესახებ.
- კურსდამთავრებულმა იცის ენკაუსტიკის საღებავების გამოყენების ტექნოლოგიის ძირითადი ასპექტები.
- კურსდამთავრებულს აქვს ცოდნა სხვადასხვა ტიპის გრუნტების დამზადების ტექნოლოგიის მახასიათებლების შესახებ.

კომპიუტერული დიზაინისა და დაზღვრი გრაფიკის მოდულის არჩევის შემთხვევაში:

- კურსდამთავრებულს აქვს ფართო ცოდნა კომპიუტერული დიზაინის, დაზღვრი გრაფიკისა და გამოყენებით გრაფიკის ზოგადი მახასიათებლების შესახებ,
- კურსდამთავრებულს აქვს ცოდნა კომპიუტერული დიზაინის შემდეგი გრაფიკული პროგრამების ძირითადი მახასიათებლების შესახებ - Corel Draw, Adobe Illustrator, Adobe Photoshop, Adobe Indesign, Adobe Flash, 3D MAX და მათში მუშაობის წესების შესახებ.
- კურსდამთავრებულს აქვს კომპლექსური ცოდნა დაზღვრი გრაფიკის შემდეგი სახეობების - ლინოგრაფიურა, გრაფიურა მუყაოზე, მონოტიპია, ქსილოგრაფია, ოფორტი (მშრალი ნემსი, მოწამლული შტრიხი, მეცოტინტო, აკვატინტა, ლავისი) ძირითადი მახასიათებლების, მათი შესრულების კომპოზიციური და ტექნოლოგიური თავისებურებების შესახებ.
- კურსდამთავრებულმა იცის პლაკატის ხელოვნებისა და წიგნის გრაფიკის კომპოზიციური თავისებურებები და ხელნაკეთი ქართული და ლათინური შრიფტების შესრულების ტექნოლოგიური წესები.

მოდის, მხატვრული ტექსტილისა და ფეხსაცმლის დიზაინის მოდულის არჩევის შემთხვევაში:

- კურსდამთავრებულს გააჩნია ფართო ცოდნა ტანსაცმლის დიზაინის, მხატვრული ტექსტილისა და ფეხსაცმლის დიზაინის ზოგადი მახასიათებლების შესახებ.
- კურსდამთავრებულს აქვს კომპლექსური ცოდნა ნებისმიერი სირთულის საავტორო ანსამბლის ესკიზირების პრინციპების და ნებისმიერი სირთულის ანსამბლისთვის ტანსაცმლის კონსტრუირების საფუძვლების შესახებ.
- კურსდამთავრებულმა იცის მხატვრული ტექსტილის დიზაინის ყველა სახეობის (ბატკა, თექა, გობელენი, ხალიჩა და სხვა) კომპოზიციური თავისებურებები და მათი შესრულების ტექნოლოგიური წესები.
- კურსდამთავრებულმა იცის ფეხსაცმლის დიზაინის კომპოზიციური თავისებურებები და სხვადასხვა ტიპის კონსტრუქციისა (თარგის) და მოდელის მასალაში შესრულების ტექნოლოგიური წესები.

ინტერიერისა და ექსტერიერის მონუმენტური მოხატვის, კერამიკისა და მხატვრული მინის დიზაინის მოდულის არჩევის შემთხვევაში:

- კურსდამთავრებულს გააჩნია ფართო ცოდნა მონუმენტური მოხატვის, მონუმენტური კერამიკისა და მხატვრული მინის დიზაინის ზოგადი მახასიათებლების შესახებ,
- კურსდამთავრებულმა იცის მონუმენტური მოხატვისა და მონუმენტური კერამიკის კომპოზიციის სხვადასხვა/მრავალგვარი სახეობების კომპოზიციური თავისებურებები და მათი შესრულების ტექნოლოგიური და ტექნიკური წესები.
- კურსდამთავრებულმა იცის მხატვრული მინის დიზაინის მრავალგვარი სახეობების - მინის სუვენირები, ტიხარი მინაში, მინის დეკორატიული პანო, მინის დეკორატიული ქანდაკება, ტიფანის ტექნიკა, მინის მონუმენტური ფორმები ინტერიერისა და ექსტერიერისთვის - კომპოზიციური თავისებურებები და მათი შესრულების ტექნოლოგიური და ტექნიკური წესები.
- კურსდამთავრებულმა იცის ინტერიერისა და ექსტერიერის დიზაინის კომპოზიციის შესრულების სპეციფიკა კომპიუტერულ პროგრამაში ArchiCAD აგების პრინციპებისა და ინტერიერისა და ექსტერიერისთვის დამახასიათებელი დეტალების გამოყენებით;
- კურსდამთავრებულს აქვს გაცნობიერებული ინტერიერისა და ექსტერიერის ურთიერთდამოკიდებულება და გარემოსა და სივრცესთან მათი კავშირის მნიშვნელობა.

ხატწერის, ხისა და ლითონის მხატვრული დამუშავების მოდულის არჩევის შემთხვევაში:

- კურსდამთავრებულს გააჩნია ფართო ცოდნა ხატწერის, ხის მხატვრული დამუშავებისა და ლითონის მხატვრული დამუშავების ზოგადი მახასიათებლების შესახებ.
- კურსდამთავრებულმა იცის ნებისმიერი სირთულის ხატის შესრულების კანონიკური წესები;
- კურსდამთავრებულს აქვს კომპლექსური ცოდნა ხის მხატვრული დამუშავების მრავალფეროვანი სახეობების

- კომპოზიციური თავისებურებებისა და მათი შესრულების ტექნოლოგიური წესების შესახებ;
- კურსდამთავრებულს აქვს კომპლექსური ცოდნა ლითონის მხატვრული დამუშავების მრავალფეროვანი სახეობების (შავი ლითონების ცხელი და ცივი დამუშავება, ფერადი ლითონების ფურცლოვანი მასალის ჭედურობა და სხვა) კომპოზიციური თავისებურებებისა და მათი შესრულების ტექნოლოგიური წესების შესახებ;
- კურსდამთავრებულმა იცის ღუმელთან მუშაობის ტექნიკური და უსაფრთხოების წესები.
- კურსდამთავრებულმა იცის სხვადასხვა ტიპის ნაგებობების აზომვისა და პროექტირების წესები კომპიუტერულ პროგრამაში Archi CAD და გაცნობიერებული აქვს სივრცის ვიზუალიზაციის აუცილებლობა დარგობრივი კომპოზიციების ესკიზირებისას.

საიუველირო ხელოვნების (ოქრომჭედლობა და მინანქარი) მოდულის არჩევის შემთხვევაში:

- კურსდამთავრებულს გააჩნია ფართო ცოდნა ოქრომჭედლობის, მინანქრის ხელოვნებისა და მცირე პლასტიკის ზოგადი მახასიათებლების შესახებ;
- კურსდამთავრებულს აქვს კომპლექსური ცოდნა საოქრომჭედლო და მინანქრის ხელოვნების, ასევე მცირე პლასტიკის ნიმუშების კომპოზიციური თავისებურებებისა და მათი შესრულების ტექნოლოგიური წესების შესახებ;
- კურსდამთავრებულს აქვს ცოდნა ძვირფასი ლითონების სინჯების მახასიათებლების შესახებ;
- კურსდამთავრებულს აქვს ცოდნა საოქრომჭედლო იარაღებისა და სხვადასხვა ტიპის საიუველირო ნაკეთობისთვის ესკიზის შესრულების ძირითადი წესების შესახებ;
- კურსდამთავრებულს აქვს ფართო ცოდნა მინანქრის კომპოზიციის სხვადასხვა სახეობისთვის (ტიხრული, ტვიფრული, ვიტრაჟული) ესკიზის შესრულების ძირითადი პრინციპების შესახებ;
- კურსდამთავრებულმა იცის ტიხრებისა და მინანქრის ფერების გამოყენების წესები სხვადასხვა ლითონზე (ვერცხლი, ოქრო, სპილენძი, ტომპაკი) მუშაობისას.
- კურსდამთავრებულმა იცის მცირე პლასტიკის (არაუტილიტარული საოქრომჭედლო ნიმუშების) კომპოზიციური თავისებურებები და მოდულის მასალაში შესრულების ტექნოლოგიური წესები.

2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ორიგინალური იდეების და კონცეფციების განხორციელება კონკრეტული პროდუქტის/საავტორო ნამუშევრის სახით მის მიერ შერჩეული მოდულისთვის დამახასიათებელი კომპოზიციური და ტექნოლოგიური კანონების, პრინციპებისა და მიდგომების დაცვით.
- აკადემიური ხატვის ძირითადი კანონების (კონსტრუქციული და პლასტიკური), ხატვის თეორიული და პრაქტიკული ელემენტების, ფორმის აგების ლოგიკისა და სივრცის ორგანიზების ძირითადი პრინციპების გამოყენება სახატავი მასალებით პლასტიკისა და ფაქტურის გადმოცემის დროს.
- კოლორისტული ფერწერის უმნიშვნელოვანესი კანონების (ფერი, ტონი, კოლორიტი, განათება) გათვალისწინებითა და ფერწერული მასალების (აკვარელი, გუაში, ტემპერა, ზეთი) ტექნოლოგიური თავისებურებების დაცვით სხვადასხვა ტიპის ფერწერული ნამუშევრის შესრულება.
- ცხოველთა, ფრინველთა და ადამიანთა მოძრაობასა და პლასტიკაზე მათი ხერხემლის, ძვლოვანი და კუნთოვანი სისტემების გავლენის შესახებ ცოდნის გამოყენება შემოქმედებით მუშაობაში.
- მხატვრულ მიმდინარეობათა ძირითადი ტენდენციების ანალიზი, პრობლემების წარმოჩენა; მხატვრული ნაწარმოების სტრუქტურისა და სტილის ანალიზი.
- შემოქმედებითი ამოცანის ამოსახსნელად დარგისთვის დამახასიათებელი მეთოდების გამოყენება.
- შემოქმედებითი პროექტის/პრაქტიკული ნამუშევრის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული რეკომენდაციებისა და ინსტრუქციების მიხედვით.
- სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სხვადასხვა დარგისთვის დამახასიათებელ მასალათა შემოქმედებითი სინთეზი და შედეგად, მაღალი ხარისხის, დახვეწილი ესთეტიკის მქონე და ტექნოლოგიურად ორიგინალური ნამუშევრების შექმნა.

მოდულის **დაზგური ფერწერა და ენკაუსტიკა** არჩევის შემთხვევაში კურსდამთავრებულს შეუძლია:

- შემოქმედებითი პროექტის განსახორციელებლად მოიძიოს, შეისწავლოს, გაანალიზოს და გამოიყენოს შესაბამის დარგებთან დაკავშირებული თეორიული და ვიზუალური ინფორმაცია ისტორიული და გეოგრაფიული კონტექსტების გათვალისწინებით.
- ნებისმიერი ჟანრის (ნატურმორტი, ინტერიერი, პეიზაჟი და სხვა) დაზგური ფერწერის საავტორო ნამუშევრის შესრულება ნებისმიერი ფერწერული მასალით, კომპოზიციური კანონების დაცვითა და ფერწერული მასალების ტექნოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით.
- ნახატის საავტორო კომპოზიციის გამომსახველობითი ელემენტების (სასურათო სიბრტყე, გეომეტრიული ცენტრი, ჰორიზონტის ხაზი, თავშეყრის წერტილი, ხედვის წერტილი და სხვ.) გამოყენებითა და ყველა სახატავი მასალით (ფანქარი, ნახშირი, სოუსი, ტუში, სანგინა, პასტელი და სხვა) სახვითი ხელოვნების ნებისმიერი ჟანრის ნამუშევრის შესრულება კომპოზიციური კანონების დაცვით.

- ნებისმიერი ტიპის საავტორო კომპოზიციის შესრულება ენკაუსტიკის საღებავების გამოყენებით და ტექნოლოგიური პროცესების ზუსტი დაცვით.
- სხვადასხვა ტიპის გრუნტებისა და ტემპერის საღებავების დამზადება და მათი გამოყენება.
- ფერწერის ურთიერთთავსებადი დარგების (დაზგური ფერწერის კომპოზიცია, ნახატის კომპოზიცია, ენკაუსტიკა) გამოყენებით სინთეზური ნამუშევრის შექმნა.

მოდულის **კომპიუტერული დიზაინი და დაზგური გრაფიკა** არჩევის შემთხვევაში კურსდამთავრებულს შეუძლია:

- შემოქმედებითი პროექტის განსახორციელებლად მოიძიოს, შეისწავლოს, გაანალიზოს და გამოიყენოს შესაბამის დარგებთან დაკავშირებული თეორიული და ვიზუალური ინფორმაცია ისტორიული და გეოგრაფიული კონტექსტების გათვალისწინებით.
- კომპიუტერული დიზაინის მრავალფეროვანი, ორიგინალური ნიმუშების შესრულება შემდეგ გრაფიკულ პროგრამებში - Corel Draw, Adobe Illustrator, Adobe Photoshop, Adobe Indesign, Adobe Flash, 3D MAX.
- დაზგური გრაფიკის ორიგინალური ნიმუშების პრაქტიკულად შესრულება შემდეგ სახეობებში - ლინოგრაფიურა, გრაფიურა მუყაოზე, მონოტიპია, ქსილოგრაფია, ოფორტი (მშრალი ნემსი, მოწამლული შტრიხი, მეცოტინტო, აკვატინტა, ლავისი) - შესაბამისი ტექნოლოგიური და ტექნიკური წესების დაცვით.
- პლაკატის ხელოვნებისა და წიგნის გრაფიკის კომპოზიციის ორიგინალური ესკიზის შემუშავება და მასალაში განხორციელება ხელნაკეთი ქართული და ლათინური შრიფტის სათანადო გარნიტურის გამოყენებით.
- გრაფიკის ურთიერთთავსებადი დარგების (კომპიუტერული დიზაინი, დაზგური გრაფიკა, გამოყენებითი გრაფიკა) გამოყენებით სინთეზური ნამუშევრის შექმნა.

მოდულის **მოდის, მხატვრული ტექსტილისა და ფეხსაცმლის დიზაინი** არჩევის შემთხვევაში კურსდამთავრებულს შეუძლია:

- შემოქმედებითი პროექტის განსახორციელებლად მოიძიოს, შეისწავლოს, გაანალიზოს და გამოიყენოს შესაბამის დარგებთან დაკავშირებული თეორიული და ვიზუალური ინფორმაცია ისტორიული და გეოგრაფიული კონტექსტების გათვალისწინებით.
- ნებისმიერი სირთულის საავტორო ანსამბლის ესკიზირება კონცეფციის შესაბამისად.
- ნებისმიერი სირთულის ანსამბლისთვის ტანსაცმლის კონსტრუირების საფუძვლების გამოყენებით თარგების შემუშავება, მაკეტის დამზადება და სასურველ მასალაში შესრულება ტექნოლოგიური ოპერაციების ზუსტი დაცვით.
- მხატვრული ტექსტილის დიზაინისა და ფეხსაცმლის დიზაინისთვის ორიგინალური ესკიზების შემუშავება.
- მხატვრული ტექსტილის დიზაინის ყველა სახეობის (ბატიკა, თექა, გობელენი, ხალიჩა) ნამუშევრის პრაქტიკულად შესრულება ტექნოლოგიური თავისებურებების დაცვით.
- ფეხსაცმლის დიზაინის სხვადასხვა ტიპის კონსტრუქციის (თარგის) შემუშავება და მოდელის მასალაში შესრულება ტექნოლოგიური წესების დაცვით.
- სამოსის დიზაინის ურთიერთთავსებადი დარგების (მოდის დიზაინი, მხატვრული ტექსტილის დიზაინი და ფეხსაცმლის დიზაინი) გამოყენებით სინთეზური კოლექციის შექმნა.

მოდულის **ინტერიერისა და ექსტერიერის მონუმენტური მოხატვა, კერამიკა და მხატვრული მინის დიზაინი** არჩევის შემთხვევაში კურსდამთავრებულს შეუძლია:

- შემოქმედებითი პროექტის განსახორციელებლად მოიძიოს, შეისწავლოს, გაანალიზოს და გამოიყენოს შესაბამის დარგებთან დაკავშირებული თეორიული და ვიზუალური ინფორმაცია ისტორიული და გეოგრაფიული კონტექსტების გათვალისწინებით.
- მონუმენტური მოხატვის სხვადასხვა სახეობისთვის ორიგინალური კონსტრუქციული და ფერითი ესკიზების შემუშავება არქიტექტურის გათვალისწინებით, ფერისა და ფორმის სწორად შერჩევით; კედლის ცალკეული ფრაგმენტების მოხატვა შემუშავებული ესკიზის შესაბამისად ტექნოლოგიური და ტექნიკური წესების დაცვით.
- მონუმენტური კერამიკის კომპოზიციის მრავალგვარი სახეობისთვის ორიგინალური კონსტრუქციული და ფერითი ესკიზების შემუშავება სპეციფიკური კომპოზიციური კანონების (სივრცობრივი აზროვნება, ფუნქციური და კონსტრუქციული გადაწყვეტის ერთიანობა, მასალა და სხვ.) გათვალისწინებით; მზა მაკეტის მასალაში განხორციელება ესკიზის შესაბამისად ტექნოლოგიური და ტექნიკური ნიუანსების დაცვით.
- მხატვრული მინის დიზაინის შემდეგი სახეობებისთვის - მინის სუვენირები, ტიხარი მინაში, მინის დეკორატიული პანო, მინის დეკორატიული ქანდაკება, ტიფანის ტექნიკა, მინის მონუმენტური ფორმები ინტერიერისა და ექსტერიერისთვის - ესკიზის შესრულება მხატვრული მინის ამ სახეობების კომპოზიციური თავისებურებების გათვალისწინებით; მხატვრული მინის დიზაინის აღნიშნული სახეობებისთვის საჭირო მასალებით (მინა, შამოთი და სხვა) მინის დეკორატიული ტიხრის, მინის დეკორატიული პანოს, მინის ქანდაკების და ტიფანის ტექნიკით ნამუშევრის შესრულება ტექნოლოგიური პროცესების თავისებურებებისა და წარმოების რეჟიმის დაცვით.
- ინტერიერისა და ექსტერიერის დიზაინის კომპოზიციის შესრულება სპეციალურ კომპიუტერულ პროგრამაში ArchiCAD აგების პრინციპებისა და ინტერიერისა და ექსტერიერისთვის დამახასიათებელი დეტალების გამოყენებით; ინტერიერისა და ექსტერიერის ურთიერთდამოკიდებულებისა და გარემოსა და

სივრცესთან მათი კავშირის გათვალისწინებით ინდივიდუალური შენობის /ნაგებობის ინტერიერისა და ექსტერიერის დიზაინის პროექტის შესრულება კომპიუტერულ პროგრამაში ArchiCAD ფერის, განათების, ავეჯისა და დეკორატიული ელემენტების (მონუმენტური მოხატვა, კერამიკა, მინა) გამოყენებით.

- ინტერიერისა და ექსტერიერის დეკორატიული დიზაინის ურთიერთთავსებადი დარგების (ინტერიერისა და ექსტერიერის დიზაინი, მონუმენტური მოხატვა, კერამიკა და მხატვრული მინის დიზაინი) გამოყენებით სინთეზური ნამუშევრის შექმნა.

მოდულის **ხატწერა, ხისა და ლითონის მხატვრული დამუშავება** არჩევის შემთხვევაში კურსდამთავრებულს შეუძლია:

- შემოქმედებითი პროექტის განსახორციელებლად მოიძიოს, შეისწავლოს, გაანალიზოს და გამოიყენოს შესაბამის დარგებთან დაკავშირებული თეორიული და ვიზუალური ინფორმაცია ისტორიული და გეოგრაფიული კონტექსტების გათვალისწინებით.
- ნებისმიერი სირთულის ხატის შესრულება შესაბამის მასალაში კანონიკური წესების ზუსტი დაცვით.
- ხის მხატვრული დამუშავების მრავალფეროვანი სახეობებისთვის საავტორო ესკიზის შესრულება და მასალაში განხორციელება ტექნოლოგიური წესების დაცვით.
- ლითონის მხატვრული დამუშავების მრავალფეროვანი სახეობებისთვის (შავი ლითონების ცხელი და ცივი დამუშავება, ფერადი ლითონების ფურცლოვანი მასალის ჭედურობა და სხვა) საავტორო ესკიზის შესრულება და ტექნოლოგიური წესის დაცვით შესაბამის მასალაში განხორციელება.
- საცხოვრებელი სახლის, ისტორიული ნაგებობისა და ისტორიული ძეგლის აზომვა და პროექტირება კომპიუტერულ პროგრამაში Archi CAD სივრცის ვიზუალიზაციის მიზნით.
- საკულტო და საერო ნაგებობების დეკორატიული დიზაინის შექმნა გამოყენებითი ხელოვნების ურთიერთთავსებადი დარგების (ხატწერა, ხისა და ლითონის მხატვრული დამუშავება) სინთეზის საფუძველზე.

მოდულის **საიუველირო ხელოვნება (ოქრომჭედლობა და მინანქარი)** არჩევის შემთხვევაში კურსდამთავრებულს შეუძლია:

- შემოქმედებითი პროექტის განსახორციელებლად მოიძიოს, შეისწავლოს, გაანალიზოს და გამოიყენოს შესაბამის დარგებთან დაკავშირებული თეორიული და ვიზუალური ინფორმაცია ისტორიული და გეოგრაფიული კონტექსტების გათვალისწინებით.
- ძვირფასი ლითონების სინჯების განსაზღვრა; საოქრომჭედლო იარაღების გამოყენება; სხვადასხვა ტიპის საიუველირო ნაკეთობისთვის ესკიზის შესრულება; ესკიზის შესაბამისად სხვადასხვა ტიპისა და დანიშნულების საიუველირო ნამუშევრის შექმნა.
- მინანქრის კომპოზიციის სხვადასხვა სახეობისთვის (ტიხრული, ტვიფრული, ვიტრაჟული) ესკიზის შესრულება. ტიხრებისა და მინანქრის ფერების გამოყენებით სხვადასხვა ლითონის (ვერცხლი, ოქრო, სპილენძი, ტომპაკი) გავლენის გათვალისწინებით სხვადასხვა ტიპის მზა ნამუშევრის შესრულება.
- მცირე პლასტიკაში შესრულებული ნამუშევრისთვის სხვადასხვა ტიპის ესკიზის შესრულება. პლასტიკური ფორმების შესრულებისთვის საჭირო მასალებისა და იარაღის გამოყენებით დასრულებული ნამუშევრის შექმნა მისი დანიშნულების გათვალისწინებით.
- საიუველირო ხელოვნების ნიმუშის შექმნა გამოყენებითი ხელოვნების ურთიერთთავსებადი დარგების (ოქრომჭედლობა, მინანქრის ხელოვნება და მცირე პლასტიკა) სინთეზის საფუძველზე.

3. დასკვნის უნარი

კურსდამთავრებულს:

- შეუძლია მინიმალური ხელმძღვანელობის პირობებში აბსტრაქტული მონაცემებისა და კონცეფციების გამოყენება შემოქმედებითი ამოცანის ამოსახსნელად და პრობლემის გადასაჭრელად;
- შეუძლია სხვადასხვა წყაროდან სფეროსთვის დამახასიათებელი ინფორმაციის მოპოვება და განმარტება.
- შეუძლია სხვისი და თავისი ნამუშევრის, შერჩეული მასალისა და კომპოზიციის არჩევანის შეფასება და ამ არჩევანის დასაბუთება ნამუშევრის კონცეფციიდან გამომდინარე; მის ღირსებებსა და ნაკლოვანებებზე მსჯელობა, კრიტიკული ანალიზი და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება.

4. კომუნიკაციის უნარი

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- დარგთან დაკავშირებულ საკითხებზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან;
- ინფორმაციის გადაცემა ქართულ და ინგლისურ ენებზე;
- კომუნიკაციისას ეფექტურად გამოიყენოს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები;
- საკუთარი იდეების, კონცეფციების წარმოსაჩენად პროექტის/ნამუშევრის შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება;
- ჯგუფში ეფექტურად მუშაობის უნარი.

5. სწავლის უნარი

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- საკუთარი სწავლის პროცესის/დროის მართვა რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით, საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროების განსაზღვრა.
- საკუთარი პროფესიული განვითარების მიზნით დარგში არსებული ტექნოლოგიების ათვისება მინიმალური ხელმძღვანელობის პირობებში.

6. ღირებულებები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- მონაწილეობა მიიღოს ლიბერალური ღირებულებების ფორმირების პროცესში,
- პლაგიატის თავიდან აცილება პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული ეთიკური ნორმების გათვალისწინებით;

აქვს კულტურული მრავალფეროვნებისა და მულტიკულტურულობის პატივისცემის უნარი.

სწავლის მეთოდები

- ვერბალური და წერიტი მეთოდი;
- ელექტრონული სწავლების ელემენტები;
- პრაქტიკული მუშაობა;
- სამუშაო ჯგუფში მუშაობა;
- ინდივიდუალური მუშაობა;
- პროექტები;
- დემონსტრირების მეთოდი;

შენიშვნა: პროგრამაში გამოყენებული სწავლების მეთოდები დაკონკრეტებულია შესაბამისი კურსების სილაბუსებში.

პროგრამის სტრუქტურა

პროგრამის ფარგლებში სტუდენტმა უნდა გაიაროს:

1. ბაკალავრიატის ზოგადი მოდულის კურსები კოდით INTRO – 60 კრედიტი;
2. სავალდებულო და სავალდებულო-არჩევითი კურსები (*სავალდებულო-არჩევითი 12 კრედიტი*) სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების პროგრამის ძირითადი კურსების ბლოკიდან – 66 კრედიტი და
3. სავალდებულო კურსები - არანაკლებ 36 კრედიტის მოცულობით - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ერთ-ერთი მოდულიდან:
 - დაზგური ფერწერა და ენკაუსტიკა;
 - კომპიუტერული დიზაინი და დაზგური გრაფიკა;
 - მოდის, მხატვრული ტექსტილისა და ფეხსაცმლის დიზაინი;
 - ინტერიერისა და ექსტერიერის მონუმენტური მოხატვა, კერამიკა და მხატვრული მინის დიზაინი;
 - ხატწერა, ხისა და ლითონის მხატვრული დამუშავება;
 - საიუველირო ხელოვნება (ოქრომჭედლობა და მინანქარი).
4. არჩევითი კურსები პროგრამის ნებისმიერი ბლოკიდან - არაუმეტეს 18 კრედიტისა
5. კურსები დამატებითი (Minor) სპეციალობის ან თავისუფალი კომპონენტების ფარგლებში - 60 კრედიტი

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების შესწავლის მსურველმა სტუდენტმა საბაკალავრო სწავლების პირველივე წელს უნდა გაიაროს კურსები „პირველი ნაბიჯები ხატვასა და ფერწერაში 1“ და „პირველი ნაბიჯები ხატვასა და ფერწერაში 2“, რომლებიც დაეხმარება მას პროფესიულ თვითგამორკვევასა და მხატვრული უნარების გამოვლენაში.

პროგრამა აწყობილია საფეხურებრივი გართულების პრინციპით, რაც იმითაა უზრუნველყოფილი, რომ თითოეულ საგანს აქვს წინაპირობა სხვა (საფეხურის) საგნის სახით. სტუდენტმა თანმიმდევრულად უნდა გაიაროს დარგობრივი კურსების საფეხურები.

შეფასების წესი

შეფასება 100-ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. ქულები გადანაწილდება და განისაზღვრება ამგვარად:

შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს

ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები მოცემულია სასწავლო კურსების სილაბუსებში.

დასაქმების სფეროები

პროგრამით გათვალისწინებული დარგობრივი პროფილის მიხედვით:

- სარეკლამო ბიზნესი
- დიზაინერული კომპანიები
- გამომცემლობები
- მასმედია
- ფეხსაცმლისა და ტექსტილის საწარმოები
- სამოდელო სახლები და ატელიეები
- სამშენებლო-არქიტექტურული კომპანიები
- ქალაქის კეთილმოწყობის სამსახური
- სამკერვალო სალონები
- კერძო და სახელმწიფო საწარმოები
- კერძო ბიზნესი

პროგრამის კურსდამთავრებულმა სწავლა შეიძლება გაარძელოს შემდეგ საფეხურზე.

სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები

- სალექციო აუდიტორიები;
- საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა;
- დარგობრივი აუდიტორია-სახელოსნოები;
- დარგობრივი ტექნიკური აღჭურვილობა;
- უნივერსიტეტში არსებული საინფორმაციო კომპიუტერული ცენტრი;
- სტუდენტის რეგისტრაციისა და სასწავლო პროცესის მართვის საუნივერსიტეტო ქსელი „არგუსი“;
- Moodle, Turnitin;
- სხვადასხვა საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებთანაც სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ცენტრს აკავშირებს თანამშრომლობა (ფეხსაცმლის საწარმო, საქველმოქმედო ფონდი „საქართველოს კარიტასი“, ლიტერატურულ-საზოგადოებრივი ჟურნალი „არილი“, კერამიკის საამქრო, საპროექტო კომპანია შპს „LINE CUBE“, შპს „ZENKA & MARI“, შპს „შესამოსელი“, საქართველოს მხატვართა კავშირი).

კურსების ჩამონათვალი

№	კურსები	სტატუსი (სავალდებულო ან არჩევითი)	კურსის წინაპირობები	ლექტორი	კრედიტები	საკონტ. საათები	სემესტრი	
							შემ	გაზ
პროგრამის ძირითადი კურსების ბლოკი სავალდებულო კურსები 66 კრედიტი								
	პირველი ნაბიჯები ხატვასა და ფერწერაში 1: მარტივი ობიექტები. სტუდიური კურსი	სავალდებულო		თამარ ნინიკაშვილი	6	120	X	
	პირველი ნაბიჯები ხატვასა და ფერწერაში 2: რთული ობიექტები. სტუდიური კურსი	სავალდებულო	პირველი ნაბიჯები ხატვასა და ფერწერაში 1: მარტივი ობიექტები. სტუდიური კურსი	ზაქარია ფიცხელაური	6	120		X
	ხატვისა და ფერწერის სტუდიური კურსი 1: თაბაშირის თავის ასლები. სტუდიური კურსი	სავალდებულო	პირველი ნაბიჯები ხატვასა და ფერწერაში 2: რთული ობიექტები. სტუდიური კურსი	თამარ ნინიკაშვილი	6	120	X	
	ხატვისა და ფერწერის სტუდიური კურსი 2: ადამიანის თავი. სტუდიური კურსი	სავალდებულო	ხატვისა და ფერწერის სტუდიური კურსი 1: თაბაშირის თავის ასლები. სტუდიური კურსი	მარინა ნასიძე	6	120		X
	ხატვისა და ფერწერის სტუდიური კურსი 3: ადამიანის ფიგურა. სტუდიური კურსი	სავალდებულო	ხატვისა და ფერწერის სტუდიური კურსი 2: ადამიანის თავი. სტუდიური კურსი	ქეთევან მელია	6	120	X	
	ხატვისა და ფერწერის სტუდიური კურსი 4: შიშველი ფიგურა. სტუდიური კურსი	სავალდებულო	ხატვისა და ფერწერის სტუდიური კურსი 3: ადამიანის ფიგურა. სტუდიური კურსი	ანდრო დოლიძე	6	120		X
	პლასტიკური ანატომია 1. ცხოველებისა და ფრინველების ანატომია. ადამიანის ძვლოვანი სისტემა	სავალდებულო	პირველი ნაბიჯები ხატვასა და ფერწერაში 2: რთული ობიექტები. სტუდიური კურსი	ტერეზა გველესიანი	6	30	X	
	პლასტიკური ანატომია 2. ადამიანის კუნთოვანი სისტემა, სხეულის პლასტიკა და არქიტექტონიკა	სავალდებულო	პლასტიკური ანატომია 1. ცხოველებისა და ფრინველების ანატომია. ადამიანის ძვლოვანი სისტემა	ტერეზა გველესიანი	6	30		X
	სადიპლომო ნამუშევარი	სავალდებულო			6	60		X
	ხელოვნება რეალიზმიდან XX საუკუნის დასასრულამდე	სავალდებულო-არჩევითი		ხათუნა ხაბულიანი	6	32	X	
	ვიზუალური ხელოვნების კვლევისა და ინტერპრეტაციის	სავალდებულო-არჩევითი		ხათუნა ხაბულიანი	6	32	X	X

	მეთოდები							
	ბიზანტიისა და შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის ხელოვნება	სავალდებულო-არჩევითი		ნინო ჭიჭინაძე ნათია ნაცვლიშვილი	6	32		X
	ფეოდალური ხანის ქართული ხელოვნება	სავალდებულო-არჩევითი		ნინო ჭიჭინაძე	6	32		X
	ძველი მსოფლიოს ხელოვნების ისტორია	სავალდებულო-არჩევითი		ნინო ჭიჭინაძე	6	32		X
	შესავალი ხელოვნებასა და ხელოვნების ისტორიაში	სავალდებულო-არჩევითი		გიორგი ბუღაძე	6	32		X
	ჩრდილოეთ ევროპის ხელოვნება XIV-XX საუკუნეებში	სავალდებულო-არჩევითი		გიორგი ბუღაძე	6	32		X
	დასავლეთ ევროპის ხელოვნება რენესანსიდან რომანტიზმამდე	სავალდებულო-არჩევითი		გიორგი ბუღაძე	6	32	X	X

დაზგური ფერწერა და ენკაუსტიკა
მინ. 36 კრედიტი

	დაზგური ფერწერისა და ნახატის კომპოზიცია 1: ნატურმორტის კომპოზიცია. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	სავალდებულო	პირველი ნაბიჯები ხატვასა და ფერწერაში 2: რთული ობიექტები. სტუდიური კურსი	შალვა მატუაშვილი, გიორგი ქართველიშვილი	6	120	X	
	დაზგური ფერწერისა და ნახატის კომპოზიცია 2: ინტერიერის კომპოზიცია. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	სავალდებულო	დაზგური ფერწერისა და ნახატის კომპოზიცია 1: ნატურმორტის კომპოზიცია. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	შალვა მატუაშვილი, გიორგი ქართველიშვილი	6	120		X
	დაზგური ფერწერისა და ნახატის კომპოზიცია 3: პეიზაჟის კომპოზიცია. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	სავალდებულო	დაზგური ფერწერისა და ნახატის კომპოზიცია 2: ინტერიერის კომპოზიცია. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	შალვა მატუაშვილი, გიორგი ქართველიშვილი	6	120	X	
	დაზგური ფერწერისა და ნახატის კომპოზიცია 4: სიუჟეტური კომპოზიცია. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	სავალდებულო	დაზგური ფერწერისა და ნახატის კომპოზიცია 3: პეიზაჟის კომპოზიცია. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	შალვა მატუაშვილი, გიორგი ქართველიშვილი	6	120		X
	დაზგური ფერწერისა და ნახატის კომპოზიცია 5: ერთფერადიანი კომპოზიცია. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი (ჩაშენებული პრაქტიკით)	არჩევითი	დაზგური ფერწერისა და ნახატის კომპოზიცია 4: სიუჟეტური კომპოზიცია. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	შალვა მატუაშვილი, გიორგი ქართველიშვილი	6	120	X	
	ენკაუსტიკის ხელოვნება 1: ცივი და ცხელი ტექნიკა. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	სავალდებულო	პირველი ნაბიჯები ხატვასა და ფერწერაში 2: რთული ობიექტები. სტუდიური კურსი	თამარ ხარბედია	6	60	X	

ენკაუსტიკის ხელოვნება 2: ტრადიციული და თანამედროვე ენკაუსტიკის მიქსი. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	სავალდებულო	ენკაუსტიკის ხელოვნება 1: ცივი და ცხელი ტექნიკა. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	თამარ ხარბედია	6	60		X
ფერწერულ მასალათა ტექნოლოგია 1. სტუდიური კურსი	არჩევითი		თამარ ხარბედია	6	60	X	
ფერწერულ მასალათა ტექნოლოგია 2. სტუდიური კურსი	არჩევითი	ფერწერულ მასალათა ტექნოლოგია 1. სტუდიური კურსი	თამარ ხარბედია	6	60		X
კომპიუტერული დიზაინი და დაზგური გრაფიკა მინ. 36							
კომპიუტერული დიზაინი და დაზგური გრაფიკა 1: CorelDRAW. შავ-თეთრი და ფერადი ლინოგრაფიურა. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	სავალდებულო	პირველი ნაბიჯები ხატვასა და ფერწერაში 2: რთული ობიექტები. სტუდიური კურსი	თვალთა სიჭინავა, ბიჭიკო გულუაშვილი	6	120	X	
კომპიუტერული დიზაინი და დაზგური გრაფიკა 2: Adobe Illustrator. გრაფიურა მუყაოზე. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	სავალდებულო	კომპიუტერული დიზაინი და დაზგური გრაფიკა 1: CorelDRAW. შავ-თეთრი და ფერადი ლინოგრაფიურა. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	თვალთა სიჭინავა, ბიჭიკო გულუაშვილი	6	120		X
კომპიუტერული დიზაინი და დაზგური გრაფიკა 3: Adobe Photoshop. Adobe Indesig მონოტიპია და ქსილოგრაფია. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	სავალდებულო	კომპიუტერული დიზაინი და დაზგური გრაფიკა 2: Adobe Illustrator. გრაფიურა მუყაოზე. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	თვალთა სიჭინავა, ბიჭიკო გულუაშვილი	6	120	X	
კომპიუტერული დიზაინი და დაზგური გრაფიკა 4: Adobe Flash. ოფორტი-მშრალი ნემსი, მოწამლული შტრიხი. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	სავალდებულო	კომპიუტერული დიზაინი და დაზგური გრაფიკა 3: Adobe Photoshop. Adobe Indesig მონოტიპია და ქსილოგრაფია. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	თვალთა სიჭინავა, ბიჭიკო გულუაშვილი	6	120		X
კომპიუტერული დიზაინი და დაზგური გრაფიკა 5: 3D MAX. ოფორტი-აკვატინტა, მეცოტინტო, ლავისი. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი (ჩაშენებული პრაქტიკით)	არჩევითი	კომპიუტერული დიზაინი და დაზგური გრაფიკა 4: Adobe Flash. ოფორტი-მშრალი ნემსი, მოწამლული შტრიხი. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	თვალთა სიჭინავა, ბიჭიკო გულუაშვილი	6	120	X	
გამოყენებითი გრაფიკა 1: ქართული შრიფტი. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	სავალდებულო	პირველი ნაბიჯები ხატვასა და ფერწერაში 2: რთული ობიექტები. სტუდიური კურსი	გიორგი ბაქრაძე, თამარ ცაგარელი	6	60	X	

გამოყენებითი გრაფიკა 2: ლათინური შრიფტი. ანალიტიკურ- სტუდიური კურსი	სავალდებულო	გამოყენებითი გრაფიკა 1: ქართული შრიფტი. ანალიტიკურ- სტუდიური კურსი	გიორგი ბაქრაძე, თამარ ცაგარელი	6	60		X
გამოყენებითი გრაფიკა 3: პლაკატის ხელოვნება. ანალიტიკურ- სტუდიური კურსი	არჩევითი	გამოყენებითი გრაფიკა 2: ლათინური შრიფტი. ანალიტიკურ- სტუდიური კურსი	გიორგი ბაქრაძე, თამარ ცაგარელი	6	60	X	
გამოყენებითი გრაფიკა 4: წიგნის გრაფიკა. ანალიტიკურ- სტუდიური კურსი	არჩევითი	გამოყენებითი გრაფიკა 3: პლაკატის ხელოვნება. ანალიტიკურ- სტუდიური კურსი	გიორგი ბაქრაძე, თამარ ცაგარელი	6	60		X
მოდის, მხატვრული ტექსტილისა და ფეხსაცმლის დიზაინი მინ. 36							
ტანსაცმლის დიზაინი და კონსტრუირება 1: ქალის კლასიკური სამოსი. ანალიტიკურ- სტუდიური კურსი	სავალდებულო	პირველი ნაბიჯები ხატვასა და ფერწერაში 2: რთული ობიექტები. სტუდიური კურსი	ნინო მგალობლიშვი ლი, მზევინარ მამფორია	6	120	X	
ტანსაცმლის დიზაინი და კონსტრუირება 2: ქალის სეზონური სამოსი. ანალიტიკურ- სტუდიური კურსი	სავალდებულო	ტანსაცმლის დიზაინი და კონსტრუირება 1: ქალის კლასიკური სამოსი. ანალიტიკურ- სტუდიური კურსი	ნინო მგალობლიშვი ლი, მზევინარ მამფორია	6	120		X
ტანსაცმლის დიზაინი და კონსტრუირება 3: სამოსი ეთნოგრაფიული ელემენტებით. ანალიტიკურ- სტუდიური კურსი	სავალდებულო	ტანსაცმლის დიზაინი და კონსტრუირება 2: ქალის სეზონური სამოსი. ანალიტიკურ- სტუდიური კურსი	ნინო მგალობლიშვი ლი, მზევინარ მამფორია	6	120	X	
ტანსაცმლის დიზაინი და კონსტრუირება 4: პიჯაკი და ლაზადა. ანალიტიკურ- სტუდიური კურსი	სავალდებულო	ტანსაცმლის დიზაინი და კონსტრუირება 3: სამოსი ეთნოგრაფიული ელემენტებით. ანალიტიკურ- სტუდიური კურსი	ნინო მგალობლიშვი ლი, მზევინარ მამფორია	6	120		X
ტანსაცმლის დიზაინი და კონსტრუირება 5: ეკლექტიკა სამოსში. ანალიტიკურ- სტუდიური კურსი (ჩაშენებული პრაქტიკით)	არჩევითი	ტანსაცმლის დიზაინი და კონსტრუირება 4: პიჯაკი და ლაზადა. ანალიტიკურ- სტუდიური კურსი	ნინო მგალობლიშვი ლი, მზევინარ მამფორია	6	120	X	
მხატვრული ტექსტილის დიზაინი 1: ბატიკა. ანალიტიკურ- სტუდიური კურსი	სავალდებულო	პირველი ნაბიჯები ხატვასა და ფერწერაში 2: რთული ობიექტები. სტუდიური კურსი	ნიკოლოზ ნუცუბიძე	3	60	X	
მხატვრული ტექსტილის დიზაინი 2: თექის პანო, მიქსი და ყოფითი თექა. ანალიტიკურ- სტუდიური კურსი	სავალდებულო	მხატვრული ტექსტილის დიზაინი 1: ბატიკა. ანალიტიკურ- სტუდიური კურსი	ნიკოლოზ ნუცუბიძე	3	60		X
მხატვრული ტექსტილის დიზაინი 3: ფარდაგი. ანალიტიკურ- სტუდიური კურსი	არჩევითი	მხატვრული ტექსტილის დიზაინი 2: თექის პანო, მიქსი და ყოფითი თექა. ანალიტიკურ- სტუდიური კურსი	ნიკოლოზ ნუცუბიძე	3	60	X	

მხატვრული ტექსტილის დიზაინი 4: ხალიჩა, გობელენი. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი (ჩაშენებული პრაქტიკით)	არჩევითი	მხატვრული ტექსტილის დიზაინი 3: ფარდაგი. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	ნიკოლოზ ნუცუბიძე	3	60		X
ფეხსაცმლის დიზაინი და კონსტრუირება 1: საფუძვლები. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	სავალდებულო	პირველი ნაბიჯები ხატვასა და ფერწერაში 2: რთული ობიექტები. სტუდიური კურსი	ნინო წიქორიძე	3	60	X	
ფეხსაცმლის დიზაინი და კონსტრუირება 2: საგაზაფხულო ფეხსაცმელი. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	სავალდებულო	ფეხსაცმლის დიზაინი და კონსტრუირება 1: საფუძვლები. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	ნინო წიქორიძე	3	60		X
ფეხსაცმლის დიზაინი და კონსტრუირება 3: მამაკაცის ფეხსაცმელი. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	არჩევითი	ფეხსაცმლის დიზაინი და კონსტრუირება 2: საგაზაფხულო ფეხსაცმელი. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	ნინო წიქორიძე	3	60	X	
ფეხსაცმლის დიზაინი და კონსტრუირება 4: ქალის ჩექმა და კლასიკური ფეხსაცმელი. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი (ჩაშენებული პრაქტიკით)	არჩევითი	ფეხსაცმლის დიზაინი და კონსტრუირება 3: მამაკაცის ფეხსაცმელი. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	ნინო წიქორიძე	3	60		X

ინტერიერისა და ექსტერიერის მონუმენტური მოხატვა, კერამიკა და მხატვრული მინის დიზაინი მინ. 36

მონუმენტური მოხატვა და კერამიკა 1: გეომეტრიული ფორმების ვარიაციები. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	სავალდებულო	პირველი ნაბიჯები ხატვასა და ფერწერაში 2: რთული ობიექტები. სტუდიური კურსი	დავით მაგნიძე, ანა ჯაფარიძე	6	120	X	
მონუმენტური მოხატვა და კერამიკა 2: მოზაიკა. კომპოზიციისა და ექსტერიერისათვის. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	სავალდებულო	მონუმენტური მოხატვა და კერამიკა 1: გეომეტრიული ფორმების ვარიაციები. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	დავით მაგნიძე, ანა ჯაფარიძე	6	120		X
მონუმენტური მოხატვა და კერამიკა 3: რელიეფი. არქიტექტურული სილუეტი. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	სავალდებულო	მონუმენტური მოხატვა და კერამიკა 2: მოზაიკა. კომპოზიციისა და ექსტერიერისათვის. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	დავით მაგნიძე, ანა ჯაფარიძე	6	120	X	
მონუმენტური მოხატვა და კერამიკა 4: ქანდაკება და გარემო. კომპოზიციისა და ინტერიერისათვის.	სავალდებულო	მონუმენტური მოხატვა და კერამიკა 3: რელიეფი. არქიტექტურული სილუეტი. ანალიტიკურ-	დავით მაგნიძე, ანა ჯაფარიძე	6	120		X

	ანალიტიკურ-სტუდიური კურსი		სტუდიური კურსი					
	მონუმენტური მოხატვა და კერამიკა 5: მოცულობითი ფორმები სივრცეში. კომპოზიცია ლანდშაფტური კომპლექსისათვის. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი (ჩაშენებული პრაქტიკით)	არჩევითი	მონუმენტური მოხატვა და კერამიკა 4: ქანდაკება და გარემო. კომპოზიცია ინტერიერისათვის. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	დავით მაგნიძე, ანა ჯაფარიძე	6	120	X	
	ინტერიერისა და ექსტერიერის დიზაინი 1: ინტერიერი. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	სავალდებულო	პირველი ნაბიჯები ხატვასა და ფერწერაში 2: რთული ობიექტები. სტუდიური კურსი	ვაჟა ტარასაშვილი	3	60	X	
	ინტერიერისა და ექსტერიერის დიზაინი 2. ექსტერიერი. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	სავალდებულო	ინტერიერისა და ექსტერიერის დიზაინი 1: ინტერიერი. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	ვაჟა ტარასაშვილი	3	60		X
	ინტერიერისა და ექსტერიერის დიზაინი 3. ინტერიერისა და ექსტერიერის კომპოზიტი. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	არჩევითი	ინტერიერისა და ექსტერიერის დიზაინი 2. ექსტერიერი. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	ვაჟა ტარასაშვილი	3	60	X	
	ინტერიერისა და ექსტერიერის დიზაინი 4. ინტერიერისა და ექსტერიერის რთული კომპოზიტი. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	არჩევითი	ინტერიერისა და ექსტერიერის დიზაინი 3. ინტერიერისა და ექსტერიერის კომპოზიტი. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	ვაჟა ტარასაშვილი	3	60		X
	მხატვრული მიწის დიზაინი 1: მიწის სუვენირები. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	სავალდებულო	პირველი ნაბიჯები ხატვასა და ფერწერაში 2: რთული ობიექტები. სტუდიური კურსი	მაია გაბადაძე	3	60	X	
	მხატვრული მიწის დიზაინი 2. ტიხარი მიწაში, მიწის დეკორატიული პანო. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	სავალდებულო	მხატვრული მიწის დიზაინი 1: მიწის სუვენირები. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	მაია გაბადაძე	3	60		X
	მხატვრული მიწის დიზაინი 3. მიწის ქანდაკება, ტიფანის ტექნიკა. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	არჩევითი	მხატვრული მიწის დიზაინი 2. ტიხარი მიწაში, მიწის დეკორატიული პანო. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	მაია გაბადაძე	3	60	X	
	მხატვრული მიწის დიზაინი 4. მიწის მონუმენტური ფორმები ინტერიერისა და ექსტერიერისათვის.	არჩევითი	მხატვრული მიწის დიზაინი 3. მიწის ქანდაკება, ტიფანის ტექნიკა. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	მაია გაბადაძე	3	60		X

ანალიტიკურ-სტუდიური კურსი (ჩაშენებული პრაქტიკით)								
ხატწერა, ხისა და ლითონის მხატვრული დამუშავება მინ. 36								
ხატწერა და ლითონის მხატვრული დამუშავება 1: სადღესასწაულო ხატი. ლითონის დეკორატიული აქსესუარები. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	სავალდებულო	პირველი ნაბიჯები ხატვასა და ფერწერაში 2: რთული ობიექტები. სტუდიური კურსი	თამარ ხარბედია, რამაზ არავიაშვილი	6	120	X		
ხატწერა და ლითონის მხატვრული დამუშავება 2: ღვთისმშობლისა და წმ.ნიკოლოზის ხატები. საინტერიერო დეკორი. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	სავალდებულო	ხატწერა და ლითონის მხატვრული დამუშავება 1: სადღესასწაულო ხატი. ლითონის დეკორატიული აქსესუარები. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	თამარ ხარბედია, რამაზ არავიაშვილი	6	120		X	
ხატწერა და ლითონის მხატვრული დამუშავება 3: ხარებისა და მახარებლის ხატი. ჭედურობა. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	სავალდებულო	ხატწერა და ლითონის მხატვრული დამუშავება 2: ღვთისმშობლისა და წმ.ნიკოლოზის ხატები. საინტერიერო დეკორი. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	თამარ ხარბედია, რამაზ არავიაშვილი	6	120	X		
ხატწერა და ლითონის მხატვრული დამუშავება 4: ფერისცვალებისა და მირქმის ხატი. სინთეზი. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი (ჩაშენებული პრაქტიკით)	არჩევითი	ხატწერა და ლითონის მხატვრული დამუშავება 3: ხარებისა და მახარებლის ხატი. ჭედურობა. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	თამარ ხარბედია, რამაზ არავიაშვილი	6	120		X	
ქანდაკებისა და ხის მხატვრული დამუშავების საფუძვლები 1: მარტივი ობიექტები. სტუდიური კურსი	სავალდებულო	პირველი ნაბიჯები ხატვასა და ფერწერაში 2: რთული ობიექტები. სტუდიური კურსი	თეიმურაზ ქუთათელაძე, რამაზ არავიაშვილი	6	120	X		
ქანდაკებისა და ხის მხატვრული დამუშავების საფუძვლები 2: ორნამენტული დეკორი. სტუდიური კურსი	სავალდებულო	ქანდაკებისა და ხის მხატვრული დამუშავების საფუძვლები 1: მარტივი ობიექტები. სტუდიური კურსი	თეიმურაზ ქუთათელაძე, რამაზ არავიაშვილი	6	120		X	
ნაგებობების აზომვა და პროექტირება 1: საცხოვრებელი სახლები. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	სავალდებულო	პირველი ნაბიჯები ხატვასა და ფერწერაში 2: რთული ობიექტები. სტუდიური კურსი	ვაჟა ტარასაშვილი	3	60	X		
ნაგებობების აზომვა და პროექტირება 2: ისტორიული	არჩევითი	ნაგებობების აზომვა და პროექტირება 1: საცხოვრებელი სახლები.	ვაჟა ტარასაშვილი	3	60		X	

	ნაგებობები. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი		ანალიტიკურ-სტუდიური კურსი					
	ნაგებობების აზომვა და პროექტირება 3: ისტორიული ძეგლები. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი (ჩაშენებული პრაქტიკით)	არჩევითი	ნაგებობების აზომვა და პროექტირება 2: ისტორიული ნაგებობები. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	ვაჟა ტარასაშვილი	3	60	X	
	ხის მხატვრული დამუშავება 1: ბარელიეფი. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	სავალდებულო	ქანდაკებისა და ხის მხატვრული დამუშავების საფუძვლები 2: ორნამენტული დეკორი. სტუდიური კურსი	რამაზ არავიაშვილი	3	60	X	
	ხის მხატვრული დამუშავება 2: რთული დეკორატიული კომპოზიცია. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	არჩევითი	ხის მხატვრული დამუშავება 1: ბარელიეფი. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	რამაზ არავიაშვილი	3	60		X
	ხის მხატვრული დამუშავება 3: ფიგურირანი კომპოზიცია. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი (ჩაშენებული პრაქტიკით)	არჩევითი	ხის მხატვრული დამუშავება 2: რთული დეკორატიული კომპოზიცია. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	რამაზ არავიაშვილი	3	60	X	

საიუველირო ხელოვნება (ოქრომჭედლობა და მინანქარი)
მინ. 36

	ოქრომჭედლობა და მინანქრის ხელოვნება 1: ჯვარი, ბეჭედი, მედალიონი. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	სავალდებულო	პირველი ნაბიჯები ხატვასა და ფერწერაში 2: რთული ობიექტები. სტუდიური კურსი	ნოდარ ნინიკაშვილი, თამარ ხარბედია	6	120	X	
	ოქრომჭედლობა და მინანქრის ხელოვნება 2: სამინანქრე ფორმები, ბეჭედი, საყურე. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	სავალდებულო	ოქრომჭედლობა და მინანქრის ხელოვნება 1: ჯვარი, ბეჭედი, მედალიონი. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	ნოდარ ნინიკაშვილი, თამარ ხარბედია	6	120		X
	ოქრომჭედლობა და მინანქრის ხელოვნება 3: გრაფირებული სამაჯური, წნული და წმ. ნინოს ჯვარი. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	სავალდებულო	ოქრომჭედლობა და მინანქრის ხელოვნება 2: სამინანქრე ფორმები, ბეჭედი, საყურე. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	ნოდარ ნინიკაშვილი, თამარ ხარბედია	6	120	X	
	ოქრომჭედლობა და მინანქრის ხელოვნება 4: მამაკაცის ბეჭედი, რთული საყურე, ორნამენტური სამაჯური, მინანქრული ხატი. ანალიტიკურ-	სავალდებულო	ოქრომჭედლობა და მინანქრის ხელოვნება 3: გრაფირებული სამაჯური, წნული და წმ. ნინოს ჯვარი. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	ნოდარ ნინიკაშვილი, თამარ ხარბედია	6	120		X

	სტუდიური კურსი							
	ოქრომჭედლობა და მინანქრის ხელოვნება 5: ზარდახმა, დეკორატიული კვერცხი. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	არჩევითი	ოქრომჭედლობა და მინანქრის ხელოვნება 4: მამაკაცის ბეჭედი, რთული საყურე, ორნამენტური სამაჯური, მინანქრული ხატი. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	ნოდარ ნინიკაშვილი, თამარ ხარბედია	6	120	X	
	მცირე პლასტიკა 1: რელიეფი და ხაზი . ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	სავალდებულო	პირველი ნაბიჯები ხატვასა და ფერწერაში 2: რთული ობიექტები. სტუდიური კურსი	ანა ჯაფარიძე	6	60	X	
	მცირე პლასტიკა 2: მცირე პლასტიკა ინტერიერში. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	სავალდებულო	მცირე პლასტიკა 1: რელიეფი და ხაზი . ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	ანა ჯაფარიძე	6	60		X
	მცირე პლასტიკა 3: ავანგარდი მცირე პლასტიკაში. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	არჩევითი	მცირე პლასტიკა 2: მცირე პლასტიკა ინტერიერში. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	ანა ჯაფარიძე	6	60	X	
	მცირე პლასტიკა 4: მინიატურული ქანდაკება. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	არჩევითი	მცირე პლასტიკა 3: ავანგარდი მცირე პლასტიკაში. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	ანა ჯაფარიძე	6	60		X
არჩევითი კურსების ბლოკი მაქს. 18 კრედიტი								
	ანტიკური სამყაროს ხელოვნება	არჩევითი		ნინო ჭიჭინაძე	6	32	X	
	უახლესი ტენდენციები ვიზუალურ ხელოვნებაში	არჩევითი		ხათუნა ხაბულიანი	6	32		X
	ხელოვნების კრიტიკა და საკურატორო საქმე	არჩევითი		ხათუნა ხაბულიანი	6	32		X
	სამუზეუმო გამოფენები	არჩევითი		სალომე ცისკარიშვილი	6	32	X	
	საქართველოს მუზეუმები	არჩევითი		სალომე ცისკარიშვილი	6	32		X
	ენკაუსტიკის ხელოვნება 1: ცივი და ცხელი ტექნიკა. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	არჩევითი		თამარ ხარბედია	6	60	X	
	ენკაუსტიკის ხელოვნება 2: ტრადიციული და თანამედროვე ენკაუსტიკის მიქსი. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	არჩევითი	ენკაუსტიკის ხელოვნება 1: ცივი და ცხელი ტექნიკა. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	თამარ ხარბედია	6	60		X
	ოქრომჭედლობა და მინანქრის ხელოვნება 1: ჯვარი, ბეჭედი, მედალიონი. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	არჩევითი		ნოდარ ნინიკაშვილი, თამარ ხარბედია	6	120	X	

	<p>ოქრომჭედლობა და მინანქრის ხელოვნება 2: სამინანქრე ფორმები, ბეჭედი, საყურე. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი</p>	<p>არჩევითი</p>	<p>ოქრომჭედლობა და მინანქრის ხელოვნება 1: ჯვარი, ბეჭედი, მედალიონი. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი</p>	<p>ნოდარ ნინიკაშვილი, თამარ ხარბედია</p>	<p>6</p>	<p>120</p>		<p>X</p>
--	--	-----------------	--	--	----------	------------	--	----------

სწავლის შედეგების რუკა

სასწავლო კურსები / მოდულები	კომპეტენციების ჩამონათვალი					
	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
პირველი ნაბიჯები ხატვასა და ფერწერაში 1, 2	x	x	x	x	x	x
ხატვისა და ფერწერის სტუდიური კურსი 1, 2, 3, 4	x	x	x	x	x	x
პლასტიკური ანატომია 1, 2	x	x	x	x	x	x
ვიზუალური ხელოვნების თეორიულ-ანალიტიკური კურსი 1, 2	x	x	x	x	x	x
დაზგური ფერწერისა და ნახატის კომპოზიცია 1, 2, 3, 4, 5	x	x	x	x	x	x
ენკაუსტიკის ხელოვნება 1, 2	x	x	x	x	x	x
ფერწერულ მასალათა ტექნოლოგია 1, 2	x	x	x	x	x	x
კომპიუტერული დიზაინი და დაზგური გრაფიკა 1, 2, 3, 4, 5	x	x	x	x	x	x
გამოყენებითი გრაფიკა 1, 2, 3, 4	x	x	x	x	x	x
ტანსაცმლის დიზაინი და კონსტრუირება 1, 2, 3, 4, 5	x	x	x	x	x	x
მხატვრული ტექსტილის დიზაინი 1, 2, 3, 4	x	x	x	x	x	x
ფეხსაცმლის დიზაინი და კონსტრუირება 1, 2, 3, 4	x	x	x	x	x	x
მონუმენტური მოხატვა და კერამიკა 1, 2, 3, 4, 5	x	x	x	x	x	x
ინტერიერისა და ექსტერიერის დიზაინი 1, 2, 3, 4	x	x	x	x	x	x
მხატვრული მინის დიზაინი 1, 2, 3, 4	x	x	x	x	x	x
ხატწერა და ლითონის მხატვრული დამუშავება 1, 2, 3, 4	x	x	x	x	x	x
ქანდაკება და ხის მხატვრული დამუშავების საფუძვლები 1, 2	x	x	x	x	x	x
ნაგებობების აზომვა და პროექტირება 1, 2, 3	x	x	x	x	x	x
ხის მხატვრული დამუშავება 1, 2, 3	x	x	x	x	x	x
ოქრომჭედლობა და მინანქრის ხელოვნება 1, 2, 3, 4, 5	x	x	x	x	x	x
მცირე პლასტიკა 1, 2, 3, 4	x	x	x	x	x	x
სადიპლომო ნამუშევარი	x	x	x	x	x	x
ხელოვნება რეალიზმიდან XX საუკუნის დასასრულამდე	x	x	x	x	x	x
ვიზუალური ხელოვნების კვლევისა და ინტერპრეტაციის მეთოდები	x	x	x	x	x	x
ბიზანტიისა და შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის ხელოვნება	x	x	x	x	x	x
ფეოდალური ხანის ქართული ხელოვნება	x	x	x	x	x	x
ძველი მსოფლიოს ხელოვნების ისტორია	x	x	x	x	x	x
ანტიკური სამყაროს ხელოვნება	x	x	x	x	x	x
უახლესი ტენდენციები ვიზუალურ ხელოვნებაში	x	x	x	x	x	x

ხელოვნების კრიტიკა და საკურატორო საქმე	x	x	x	x	x	x
სამუზეუმო გამოფენები	x		x	x	x	x
საქართველოს მუზეუმები	x	x	x	x	x	x
შესავალი ხელოვნებასა და ხელოვნების ისტორიაში	x	x	x	x	x	x
ჩრდილოეთ ევროპის ხელოვნება XIV-XX საუკუნეებში	x	x	x	x	x	x
დასავლეთ ევროპის ხელოვნება რენესანსიდან რომანტიზმამდე	x	x	x	x	x	x
ენკაუსტიკის ხელოვნება 1: ცივი და ცხელი ტექნიკა. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	x	x	x	x	x	x
ენკაუსტიკის ხელოვნება 2: ტრადიციული და თანამედროვე ენკაუსტიკის მიქსი. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	x	x	x	x	x	x
ოქრომჭედლობა და მინანქრის ხელოვნება 1: ჯვარი, ბეჭედი, მედალიონი. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	x	x	x	x	x	x
ოქრომჭედლობა და მინანქრის ხელოვნება 2: სამინანქრე ფორმები, ბეჭედი, საყურე. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი	x	x	x	x	x	x